GRASS
REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ნერილის რეგისტრაციის № 303
თარიღი: 29 10 2014 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურატურა
Ministry of Justice of Georgia
Office of the Chief Prosecutor of Georgia

KA011306168070914

გორგასლის ქ. 24, თბილისი 0114, ტელ./ ფაქსი: +(995 32)2 405 142
24, Gorgasali str., Tbilisi 0114, Georgia. Tel/Fax: +(995 32)2 405 142

E-mail: international@justice.gov.ge
www.justice.gov.ge www.psg.gov.ge

№ 13/66376 **24 / ოქტომბერი / 2014 წ.**

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის"
დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს
ქ. თბილისი რაზმაძის ქ. N15

ბატონო სერგი,

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ განხილულ იქნა თქვენი 2014 წლის 10 ოქტომბრის N723 წერილი, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს:

2014 წლის 20 სექტემბერს, გადაცემა „განსხვავებულ აქცენტებში" წარმოდგენილ აუდიოჩანაწერებში იდენტიფიცირებული პიროვნებების მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებულია სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 223 პრიმა მუხლით.

გამოძიების დასრულების შემდგომ, სისხლის სამართლის საქმეები წარიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც სამი პირის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო ორი პირის მიმართ მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა.

ბრალდებულებს ბრალი დაედოთ მასში, რომ ისინი წარმოადგენდნენ ე.წ ქურდული ტრადიციების მატარებელ პირებს და სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდნენ ქურდულ გარჩევებსა და საუბრებში. ბრალდებულთათვის შერაცხული დანაშაულის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული სამართლებრივი შეფასება ასევე მოიცავს ბრალდებულების მიერ დანაშაულის ჩადენის პერიოდში განხორციელებულ ყველა სახის სატელეფონო საუბარს, რომელიც დაკავშირებულია მათ დანაშაულებრივ საქმიანობასთან.

პატივისცემით,

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის
უფროსი

ირაკლი ჩილინგარაშვილი